ზოგადი დათვალიერება წარმოდგენას გვიქმნის:

სქესის, ასაკის, საწოლში მდებარეობის, სახის გამომეტყველების, ცნობიერების, სიარულის, მოძრაობათა ხასიათის, კონსტიტუციური ტიპის შესახებ

სიარულის, მოძრაობათა ხასიათის, სახის გამომეტყველების, ცნობიერების, პერიფერიული ლიმფური კვანძების მდგომარეობის შესახებ
სქესის, ასაკის, საწოლში მდებარეობის, სახის გამომეტყველების, ცნობიერების, ორგანოების ფუნქციური სტატუსის შესახებ

სიარულის, მოძრაობათა ხასიათის, სახის გამომეტყველების, ცნობიერების, პერიფერიული ლიმფური კვანძების მდგომარეობის და კანის ნამიანობის შესახებ

პარკინსონის დაავადებისთვის დამახასიათებელი სახის გამომეტყველებაა
სახე შეშინებულია, თვალების ნაპრალი გაფართოებული, თვალის კაკლები წინ წამოწეული ორბიტიდან
სახე მრგვალია, შეშუპებული, თვალები ჩაცვენილია, სახის ნაოჭები გადასწორებული, თითის დაჭერით არ ჩნდება ჩაღრმავება
სახე შეშუპებულია, აკროციანოზი, თვალები ცრემლიანი, პირი ღია, სუნთქვა ზერელე და ხშირი

სახე ამიმიური, მზერა გაყინული, ქუთუთოების ხამხამი იშვიათი, ტირილის, ღიმილის გრიმასა დაგვიანებით წარმოიქმნება და ასევე გვიან ქრება

ყავისფერი პიგმენტაცია ენაზე ახასიათებს
B12 დეფიციტური ანემიას
მძიმე ინტოქსიკაციასა და ინფექციებს
კუჭის კიბოს
ადისონის დაავადებას